მაია ინასარიძე

ქართული ენისა და ლიტერატურის ექსპერტ-კონსულტანტი

სსიპ-მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი

მასტერკლასი ქართულ ენასა და ლიტერატურაში

მასწავლებელთა საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარების და კარიერული წინსვლის სქემის ერთ-ერთი ამოცანა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სტიმულირებაა.
პროფესიული განვითარებისაკენ მიმართული აქტივობები განსაკუთრებით ეფექტიანია მაშინ, როცა ისინი ეფუძნება მასწავლებელთა კონკრეტულ პროფესიულ და საგნობრივ საჭიროებებს მოცემულ მომენტში.
მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულმა ცენტრმა ჩაატარა კვლევა, რომლის მიზანს წარმოადგენდა *მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სერვისების დაგეგმვის ხელშეწყობა/მხარდაჭერა მათივე საჭიროებებზე (როგორც საგნობრივი, ასევე პროფესიული) დაყრდნობით.*
კვლევის შედეგების ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა პედაგოგთა სხვადასხვა საჭიროება, რომელთა გათვალისწინებით გთავაზობთ მასტერკლასს ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების საკითხებზე.

მასტერკლასზე მასწავლებლები გაეცნობიან საზღვარგარეთის საუკეთესო გამოცდილებას ლიტერატურის სწავლების მიმართულებით, იმსჯელებენ ამ გამოცდილების ქართულ საგანმანათლებლო რეალობასთან ადაპტაციის გზებზე.

მათ ექნებათ საშუალება, მონაწილეობა მიიღონ ისეთი მეთოდების იმიტირებაში, როგორებიცაა შემთხვევის ანალიზი, ინტერვიუ მეორეხარისხოვან პერსონაჟთან. მონაწილეები გაეცნობიან გამოცდილებას, თუ როგორ შეიძლება მოსწავლეებს მოვამზადებინოთ ლიტერატურული მონოსპექტაკლები და პერსონალური პროექტები.
მასტერკლასი 4-საათიანია და განკუთვნილია საბაზო და საშუალო საფეხურის ქართული ენისა და ლიტერატურის პრაქტიკოსი, უფროსი და წამყვანი მასწავლებლებისათვის.